

# ქუთაისში იმსჯელეს თემაზე: "რას უნდა ელოდოს საზოგადოება ნამახვანი ჰესის გააქტიურების შემთხვევაში ნენსკრა ჰესის მაგალითზე "

radiodk.ge /akhali-ambebi/sazogadoeba/article/14898-

quthaisshiimsjelesthemazerasundaelodossazogadoebanamakhvanihesisgaaqtiurebisshemthkhvevashinenskrahesi smagalithze

## საზოგადოება

ქუთაისში იმსჯელეს თემაზე: "რას უნდა ელოდოს საზოგადოება ნამახვანი ჰესის გააქტიურების შემთხვევაში ნენსკრა ჰესის მაგალითზე "

14:28 / 06.07.2017

ქუთაისში "მწვანე ალტერნატივამ" და "საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ " აღმოსავლეთ და ცენტრალურ ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელმა", საქართველოში დაგეგმის და მიმდინარე ენერგოპროექტებში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის პრობლემებთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ძირითადი აქცენტი გაკეთდა მდინარე რიონზე დაგეგმილ 433 მგვტ სიმძლავრის ნამახვან ჰესისა და ზემო სვანეთში მიმდინარე ნენსკრა ჰესის პროექტზე შექმნილ მდგომარეობაზე, მათ შორის საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიმართულებით.



შეხვედრაზე მწვანე ალტერნატივის მიერ წარმოდგენილი იყო ინფორმაცია აღნიშნულ პროექტებთან მიმართებაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. კერძოდ, რამდენად არის დასაბუთებული წარმოდგენილი პროექტების საჭიროება, მათი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, არის თუ არა უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და რას უნდა ელოდოს საზოგადოება ნამახვანი ჰესის პროექტის გააქტიურების შემთხვევაში ნენსკრა ჰესის მაგალითზე.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც ენერგეტიკის, გარემოსდაცვის და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ქუთაისში არსებული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ისე ნამახვანი ჰესის საპროექტო არეალში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა.

